# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

11 იანვარი
ხუთშაბათი
2024 წელი
№2 (9316)
ფასი 40 თეთრი


## ქართველთა უდიდესი დღესასწაული

7 იანვარს, მართლმადიდებელმა ქრისტიანული სამყარომ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ საზეიმოდ აღნიშნა იესო ქრისტეს ხორციელად შობის დღესასწაულს.

ღვთის აღთქმის დარღვევის გზით, როდესაც სამოთხიდან განდევნეს ადამიანების მოდგმის პირველი მშობლები. უფალმა თავისი გამოუთქმელი გულმოწყალებით დაცემულ კაცობრიობას გამოხსნის ღთქმა დაუდო. ამ აღქმაში ყოვლადწმინდა ქალწულის შესახებ წინასწარმეტყველებაც იყო...



ნიშანდობლივია ისიც, რომ ქვეყნიერი მეფის ნებამ მოუხმო იოსებს და მარიამს ბეთლემისაკენ.

წმინდა მგზავრებმა თავის შეფარეს ბეთლემიდან ჩრდილოეთით კლდეებს შორის არსებულ გამოქვაბულს. აღესრულა ისაიას წინასწარმეტყველება. სწორედაც, რომ ამ მყარ კლდეებში შუაღამისას ქალწულმა მარიამმა შვა მაცხოვარი და „მიაწვინა იგი ბაგასა“.

როდესაც ყოვლადწმინდამ თავისი ძე და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლივ უფლის სამსახურს შეუდგა,. პიეველმა იოსებმა მოკრძალებული მდუმარებით სცა თაყვანი ყოვლადწმინდა დედას და მის ძეს - ჩვენს ღმერთს.

სრულიად საქართველოს, ყველა ბორჯომელს ვულოცავთ იმ წმინდა ღამეს მომხდარ სასწაულს - ქრისტეს შობას!




ბორჯომის მუნიციპალიტეტი გილოცავთ შობის დღესასწაულს!




ძვირფასო ჟურნალისტებო! საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გილოცავთ შობა-ახალ წელს!

## საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ეპოქა

**2024 წლის 4 იანვარს, თბილისში, სამების ტაძარში გაიმართა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დაბადების 91 და აEსაყდრების 46 წლისთავს.**



საზეიმო სიტყვა შესავალი სიტყვით გახსნა გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარემ **ირაკლი ბრეგვაძემ.** მოხსენებით გამოვიდა წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **შოთა ზედგინიძე,** რომელმაც ხაზი გაუსვა **პატრიარქის უდიდეს წვლილს ქართველთა მართლმადიდებლური რწმენისა და სულიერების განმტკიცებაში.**

სიტყვებით გამოვიდნენ გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის თანათავმჯდომარე **ჯემალ ადამაშვილი,** თავმჯდომარის მოადგილე **გოგიტა მელიქიძე,** გვარების წინამძღოლები **- ვაჟა ბერიძე, ალეკო მიქაბერიძე, იუზა ტყემალაძე, ვალერიან ლომიძე, დავით ონოფრიშვილი** და სხვები.

გვარების წინამძღოლთა გამგების დარბაზის საზეიმო შეხვედრაზე მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისადმი უდიდესი პატივისცემა და სიყვარული იმ დიდი ღვაწლისადმი, რომელიც მან გასწია ქართველი ერის წინაშე.

**შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 2023 წელი გამოცხადდეს პატრიარქის საიუბილეო წლად.**

გვარების წინამძღოლთა დარბაზმა პატრიარქისადმი მადლიერებისა და სიყვარულის აღსანიშნავად თბილისში, ბაგების ტერიტორიაზე მშენებარე ცამეტი ასურელის მამის სახელობის ეკლესიის გუმბათის ჯვარი შეიძინა და ეკლსიაზე აღმართა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით წინამძღოლთა დარბაზმა შეადგინა პატრიარქისადმი მიძღვნილი სამადლობელი წერილი, რომელიც მხატვრულად გააფორმა თბილისის აკადემიის პროფესორმა, აკადემიასთან არსებულმა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა **მურმან გელენიძემ.**

პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ,,მადლიერების გრაგნილი“ დამზადებულია სპეციალურად დამუშავებულ ტყავზე, რომელსაც ამშვენებს იმ გვარების მეთაურთა ხელმოწერა, რომლებმაც ფინასური მონაწილეობა მიიღეს მშენებარე ეკლესიის გუმბათზე ჯვრის შეძენასა და აღმართვაში.

პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ,,მადლიერების გრაგნილი“ საპატრიარქოს არქივში დაიდებს ბინას.

**ვალერიან ლომიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

## ბორჯომის საახალწლო ნაძვის ხე გამარჯვებულია

**ონლაინ გამოცემა ,,კომერსანტის'' მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც რამდენიმე დღის წინ გამოაცხადა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ნაძვის ხემ 4511 რეაქცია დააგროვა და გამარჯვება მოიპოვა.**

**მოსახლეობამ სხვადასხვა ქალაქების საახალწლოდ მორთულ ნაძვის ხეებს შორის სწორედ ბორჯომის ნაძვის ხე აირჩია.**



**კონკურსში გამარჯვებული ბორჯომის ნაძვის ხის ფოტოს ავტორი ბორჯომელი ანა გოგინაშვილია. ფოტოების გადაღება ანას ჰობია. ის ფოტოებს ხშირად ტვირთავს საკუთარი ფეისბუქსის გვერდზე. ხშირად შემხვედრია ანას მიერ გადაღებული ფოტოები და თითოეულ მათგანში განსაკუთრებული და მხოლოდ მისეული ხედვა შეინიშნება. ანამ ნაძვის ხის ფოტოც საკუთარი ფეისბუქის გვერდზე ატვირთა, რომელიც მალევე გადააზიარა გვერდმა „მე მიყვარს ბორჯომი“, რომელსაც მოჰყვა სხვადასხვა კომპანიები, რიგითი ადამიანები, თუ გამოცემები, მათ შორის იყო გამოცემა ,,კომერსანტი“. ბედნიერია, რომ მისი გადაღებული ფოტო გახდა გამარჯვებული.**

**“აღნიშნული ფოტო გამთენიისას დილის 8 საათზე გადავიღე. სასწაული შეგრძნებაა, როდესაც ულამაზეს ფოტოს შორის შენი გადაღებული ფოტო იმსახურებს ამდენ მოწონებას. ფოტოების გადაღება ჩემი ჰობია, ძალიან მიყვარს და როდესაც ეს ჰობი უკვე ასეთ სახეს იღებს, ძალიან სასიამოვნოა”, - გვიპასუხა ანა გოგინაშვილმა.**

## ნამდვილი ქართული ლიმონათი მხოლოდ ბორჯომისაგან




**კომპანია „IDშ ბორჯომი-საქართველო“ პრემიუმ ლიმონათებით, ტკბილ გაზიანი სასმელების კატეგორიაში შედის. გვიხარია, რომ პირველად ამ სიახლეს თქვენ გაზიარებთ.**

**„ბორჯომი“ ახალი წლის და სადღესასწაულო სუფრის განუყოფელი ნაწილია. ამიერიდან კი პირველ ქართულ მინერალურ წყალთან ერთად თქვენს საახალწლო სუფრას „ლიმონაჲთი ბორჯომისგან“ შეემატება.**

**ნამდვილი ქართული ლიმონათი მხოლოდ „ბორჯომისგან“ გამორჩეულია. მისი უნიკალური შემადგენლობით, რადგან დამზადებულია „ბორჯომის“ მინერალური წყლით, ქართული ხილის წვენით და არის 100+ პროცენტით ნატურალური.**

**გვჯერა, რომ „ბორჯომის“ ლიმონათის ოთხი უნიკალური გემო - მსხალი, აჭარული მანდარინი, ტარხუნა და ციტრუსი თქვენს სადღესასწაულო სუფრაზე განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. „ლიმონათი ბორჯომისგან“ კი ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის“ მრავალწლიან ისტორიას ღირსეულად გააგრძელებს.**

**ახალ წელს განსაკუთრებით ტრადიციები და სიახლეები უხდება.**

**ჩვენც ვაგრძელებთ ტრადიციას და მნიშვნელოვანი სიახლით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ბედნიერი ყოფილიყოს 2024 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის.**

**პატივისცემით ივანე მაჭავარიანი.**
**„IDS ბორჯომი-საქართველოს“.გენერალური დირექტორი**

## საახალწლო დღესასწაულები ბორჯომსა და ბაკურიანში

**31 დეკემბერს,** ბორჯომში, მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში საახალწლო ღონისძიება გრანდიოზული გალა-კონცერტით დასრულდა, რომელშიც ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა მიიღეს მონაწილეობა. საახალწლო ნაძვის ხესთან არსებული სცენიდან ბორჯომელებს ახალი წელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის **მერმა ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** და მაღალყოვლადუსამღვდელოესის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ **დანიელის** თანაშემწემ დეკანოზმა **იოანემ (ხეცურიანი)** მიულოცეს.



მერაბ კოსტავას სკვერში საბავშვო-გასართობ სივრცეებში პატარებისათვის სხვადასხვა სახის აქტივობა გაიმართა. პატარების საახალწლო განწყობაზე თოვლის პაპამ და ზღაპრის გმირებმა იზრუნეს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა და დეკანოზმა **იოანემ (ხეცურიანი)** ქალაქის სახელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანისთვის სხვადასხვა სფეროში წარმატებული ბორჯომელები დააჯილდოვეს: საქართველოს ჩემპიონი და ორგზის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი ძიუდოში, გუნდურ სახეობაში - **ნინო პაპიძე;** საქართველოს სამგზის ჩემპიონი და პრიზიორი სამჭიდში და ძალისმიერ ფიტნესში, ევროპის ვიცე-ჩემპიონი „სტრონგმენებში“, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი - გიორგი **ტალახაძე.** მათ ბორჯომის მუნიციპალიტეტისაგან 3000-3000 ლარი გადაეცათ. ხოლო, შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში 13 გამარჯვების ავტორს, მრავალი სარეიტინგო ბრძოლისა და ევროპის ყველაზე დიდი ორგანიზაციის ჩაქტაგონმმას გამარჯვებულ **ამირან გოგოლაძეს** 4000 ლარი გადაეცა.

დღის ბოლოს ადგილობრივი ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

შემდეგ კი სტუმრების საახალწლო განწყობაზე **DJ DICHO-მ** იზრუნა.

**ღონისძიება გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.**

**საქართველოს** მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით საქართველოში არსებულ 63 მუნიციპალიტეტში საახალწლო ღონისძიებები გაიმართა. საახალწლო ღონისძიებები ჩატარდა 4 იანვარს ბორჯომში, რომელიც ბორჯომის მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში გაიმართა. დამონტაჟდა უზარმაზარი სცენა, მოეწყო საშობაო ჯიხურები, სადაც ადგილობრივი ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.



მთავარ ნაძვის ხესთან, 14:00 საათიდან პატარებისთვის მრავალფეროვანი გასართობი აქტივობები გაიმართა. მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გლინტვეინი, დარიჩინის ორცხობილები და ცხელი შოკოლადი დაეგემოვნებინათ.

პატარების განწყობაზე თოვლის ბაბუამ და ზღაპრის გმირებმა იზრუნეს. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო მოსიარულე ორკესტრის და კოსტიუმირებული გმირების მსვლელობა.

**ნინა 8 წლის:** ძალიან მომეწონა თოვლის ბაბუა და ორკესტრი. ორცხობილებიც.

**მათე 10 წლის:** თბილისიდან ჩამომიყვანეს მშობლებმა. ძალიან მომეწონა ყველაფერი, რაც პარკში ვნახე.

**სალომე 15 წლის:** საოცრად ლამაზია ნაძვის ხე, რომელიც ახლოდან კიდევ უფრო ლამაზი ყოფილა. მანამდე ფოტოებში მქონდა ნანახი. რეალურად უფრო ლამაზია. ყველა აქტივობა კარგად და ორგანიზებულად იყო დაგეგმილი. მადლობა ბორჯომის მუნიციპლიტეტს.

17-20 საათამდე საახალწლო ღონისძიებაზე ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა: **ნინი ქარსელაძემ,** ჯგუფმა **„ქუჩის ბიჭებმა”** და ჯგუფმა **„რეზო და ბავშვებმა”** იმღერეს.

საახალწლო განწყობაზე ღონისძიების წამყვანმა, ყველასათვის უსაყვარლესმა მსახიობმა **რუსკა მაყაშვილმა** იზრუნა.

**საადღესასწაულო ღონისძიება საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა.**

**მოამზადა ნატო მელიქიძემ**

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტი**ს მერი ოთარ არბოლიშვილი და** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი ა**ხალი წლის საღამოს სასწრაფო სამედიცინო სამსახურის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, ბორჯომის ,,”ჯეოჰოსპიტალსის“”, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბორჯომის რაიონული სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ესტუმრნენ და ახალი წელი მიულოცეს.

- განსაკუთრებულად გილოცავთ შობა-ახალ წელს. თქვენ ხართ ადამიანები, რომლებიც დღეს სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებთ, ზრუნავთ მოქალაქეების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე და ახალ წელს ოჯახებისგან მოშორებით სამსახურებში ხვდებით. გისურვებთ ჯანმრთელობას, მატერიალურ კეთილდღეობასა და უსაფრთხო ქვეყანაში ცხოვრებას” - აღნიშნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

**ბაკურიანში, ღონისძიება 25-იანების მიმდებარე ტერიტორიაზე 14 საათზე დაიწყო და მთელი დღის განმავლობაში ორგანიზატორები სტუმრების სადღესასწაულო განწყობაზე ზრუნავდნენ. დღესასწაულისთვის მზადება კი დილიდან დაიწყო, გამზადდა სცენა, მოეწყო საშობაო სოფელი და მთელი დღე სადღესასწაულო ჰანგები ჟღერდა.**



**საშობაო ბაზრობაზე მონაწილეობდნენ ადგილობრივი მეწარმეები, სადაც ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ასევე წარმოდგენილი იყო რამდენიმე კვების ობიექტი, სადაც სტუმრებს წახემსება შეეძლოთ.**

**ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსიარულე ორკესტრი, კოსტიუმირებული გმირები და თოვლის ბაბუა, რომლებმაც განსაკუთრებული სადღესასწაულო განწყობა შეუქმნა ადგილზე მისულ ყველა სტუმარს. საღამოს ღონისძიება გალა კონცერტით დასრულდა. მსმენელის წინაშე წარდგნენ: ნოდარიკო ხუციშვილი ბენდთან ერთად, ჯგუფი ,,შერეკილები“ და ჯგუფი ,,ქილეიჯის“. გალა კონცერტის წამყვანი კი რუსკა მაყაშვილი იყო.**

**ბაკურიანში საახალწლო კონცერტზე დასწრების მსურველებს ბორჯომის ცენტრალური მოედნიდან ავტობუსები მოემსახურა.**

# განმარტებითი ბარათი

**ჩვენი გაზეთის 2024 წლის 1 იანვრის ნომერში ვიუწყებოდით, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა 2024 წლის ბიუჯეტი. გაზეთის რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ იცოდეს, თუ რამდენია 2024 წლის ბიუჯეტი და რა ნაბიჯები გადაიდგმება ბორჯომელთა სასიკეთოდ საანგარიშო წელს. რა სიახლეებია მოსალოდნელი მუნიციპალიტეტის ეკონომკური და სოციალურ განვითარებაში, განათლებასა და კულტურის სფეროში ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტურისტულ ჰაბად გადაქცევაში და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში.**

## ბიუჯეტის პარამეტრები

**2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 34 170.4 ათასი ლარით. მათ შორის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 17 412.4 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3 855.0** ათასი ლარით **(29.0%-ით).**

**2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით:**

**დამატებითი ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **6 412.4** ათასი ლარით.

**2023 წლის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით დღგ გაზრდილია 26.0%-ით (1 305.2** ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

● **ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 11 000.0** ათას ლარს;

**2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 30%-ით** (**2 550.0** ათასი ლარით) გაიზარდა.

**2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით:**

**გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება **270.4** ათასი ლარით, მათ შორის:

სხვა დონის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (დელეგირებული უფლებამოსილებისათვის) **270.4** ათასი ლარი.

**შემოსავლები** საკუთრებიდან განსაზღვრულია **12 700.6** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

პროცენტები **700.6** ათასი ლარი

რენტა **12 000.0** ათასი ლარი.

**შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1 637.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

● სანებართვო მოსაკრებელი **157.0** ათასი ლარი.

● სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი **1 000.0** ათასი ლარი.

● ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის **450.0** ათასი ლარი.

● შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან **30.0** ათასი ლარი;

● **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1 500,0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:

● შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო **150,0** ათასი ლარი;

● შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო **250,0** ათასი ლარი;

● საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის **1 100.0** ათასი ლარი.

● **ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 150.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

● მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 150.0 ათასი ლარი;

● **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 500.0 ათას ლარს:

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები:**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს **34 170.4** ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება **5 919.6** ათასი ლარით.

**პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:**

**ინფრასტრუქტურის განვითარება – 10 381.2 ათასი ლარი:**

**საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - **2 290.0** ათასი ლარი; **მათ შორის განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:**

**2024 წელს რეგიონალური ფონდიდან დასაფინანსებელი საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების თანადაფინანსება (187.5 ათასი ლარი).**

**სოფელ** ყვიბისში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია **26.0** ათასი ლარი

**სოფელ** პატარა მიტარბში მისასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები **(29.5** ათასი ლარი);

**სოფელ** ანდეზიტში ჩიხების რეაბილიტაცია **(61.0** ათასი ლარი);

სოფელ ტბაზე შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები **(11.0** ათასი ლარი);

**სოფელ** ცემში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები **(110.0** ათასი ლარი);

**დაბა** ბაკურიანში წაქაძის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია **(70.0** ათასი ლარი);

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრალურ ქუჩებზე და დაბა ახალდაბაში ცენტრალური გზის გამყოფი ღობეების რეაბილიტაცია (**425.0** ათასი ლარი);

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟებული გარე-ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეძენა მოვლა-პატრონობა **(670.0** ათასი ლარი);

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა **(700.0** ათასი ლარი);

**წყლის სისტემების განვითარება (1 106.0** ათასი ლარი);

აღნიშნული პროგრამით განხორციელდება დაბა ახალდაბაში სასმელი წყლის ქსელის გაფართოება და სადგურის უბანში წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია **(424.0** ათასი ლარი);

**ა(ა)იპ ბორჯომის სოფლის წყალი (682.0** ათასი ლარი);

**გარე განათება 1 208.5 ათასი ლარი;**

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია.

გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი (**800.0** ათასი ლარი);

(ააიპ) ბორჯომის გარე განათება **(408.5.0** ათასი ლარი);

**მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია (1 036.0** ათასი ლარი);

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.ბალანთაში სარიტუალო სახლი რეაბილიტაცია **(150.0** ათასი ლარი);

**რეგიონალური ფონდებიდან დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება (26.0** ათასი ლარი);

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში** განხორციელდება საცხოვრებელი შენობების სახურავების გადახურვა, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა. **(250.0** ათასი ლარი);

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დაბა წაღვერში, სოფ. მზეთამზეში ნაპირსამაგრი და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (610.0** ათასი ლარი);

**კეთილმოწყობის ღონისძიებები (1 452.3** ათასი ლარი);

**2024 წელს განხორციელდება ბორჯომში მესხეთის ქ.№39-ში და დაბა ახალდაბაში სკვერების მოწყობა - (500.0** ათასი ლარი);

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **დაზიანებული სკვერების აღდგენა (100.0 ათასი ლარი);**

**დეკორატიული სკამების შეძენა (50.0** ათასი ლარი;

**ურნების შეძენა (50.0** ათასი ლარი);

**გამწვანება (დენდროლოგია) (80.0** ათასი ლარი);

**2024 წელს რეგიონალური ფონდებიდან დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინასება (70.0** ათასი ლარი);

**ა(ა)იპ ბორჯომის გამწვანება 2012** (**363.7** ათასი ლარი);

**ა(ა)იპ სასაფლაოების მოვლა პატრონობა (138.7** ათასი ლარი);

**მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (2 588.3** ათასი ლარი);

**მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება (1 970.0** ათასი ლარი);

**სატრანსპორტო საშუალებების შეძენა (618.3** ათასი ლარი);

**საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა (700.0** ათასი ლარი);

● დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯებისათვის განსაზღვრულია **(400,0** ათასი ლარი);

● პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება **(300** ათასი ლარი);

● **დასუფთავება და გარემოს დაცვა (2 485.2** ათასი ლარი);

● პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა. აღნიშნულ ღინისძიებას ახორციელებს **ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება.**

● **განათლება (3 942.6** ათასი ლარი);

● სკოლამდელი განათლების ფუნქციონირება **(3 734.6** ათასი ლარი);

■ საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება და რეაბილიტაცია **108.0** ათასი ლარი (ბაკურიანის საჯარო სკოლის ქირა)

■ საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება **(100.0** ათასი ლარი).

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (6 232.8 ათასი ლარი).**

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა (2 544.4 ათასი ლარი):**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება როგორიცაა; უბნებისა და დაწესებულებების ჩემპიონატი ფეხბურთსა, ფრენბურთსა და კალათბურთში. ასევე მოყვარულთა ფეხბურთი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაცია ახლორციელებს. ქვეპროგრმა ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. **„სპორტული ფესტივალი სპორტი ბარიერების გარეშე“** და სხვა. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინსდება სარაგბო კლუბი ტაო.

● **ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა (1 162.7** ათასი ლარი);

● **ა(ა)იპ ბორჯომის ფეხბურთი 2013 (473.3** ათასი ლარი);

● **რაგბის კლუბი „ტაო“ (125.0** ათასი ლარი);

● **სპორტული ღონისძიებები (33.4** ათასი ლარი);

● **ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების სასპორტო შენობების მოწყობა რეაბილიტაცია 750.0** ათასი ლარი

აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება ქ.ბორჯომში ტურბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (პლატო), მე-4 საჯარო სკოლის, მესხეთის ქ.29-ში და 2024 წელს რეგ.ფონდებიდან დასაფინასებელი პროექტების თანადაფინანსება.

**კულტურის განვითარების ხელშეწყობა (3 603.5 ათასი ლარი):**

● პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, კერძოდ:

■ **ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ბორჯომის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა (461.5** ათასი ლარი);

■ **ა(ა)იპ ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება (476.0** ათასი ლარი);

■ **ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (1 114.1** ათასი ლარი);

■ **ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიბები (627.0** ათასი ლარი)

**ახალგაზრდობის მხარდაჭერა (290.0** ათასი ლარი)

● მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ, სპორტულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების და ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე, მუნიციპალიტეტის მიზანია წარმატებული სტუდენტების მოტივაციის ამაღლების და მათი პროფესიული გაძლიერების მიზნით მათი წახალისება და ხელშეწყობა. გაეროს მდგრადი განვითარების ,,SDG~ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა 3. ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, 5. გენდერული თანასწორობა

■ **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (285.0** ათასი ლარი);

■ **საინფორმაციო მომსახურეობა (85.0** ათასი ლარი);

■ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** (**3 826.1** ათასი ლარი);.

**ჯანმრთელობის დაცვა: (145.2 ათასი ლარი);**

აღნიშნული პროგრამით დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა სიტუაციის მონიტორინგი, მათი ადრეული გამოვლენა, ადექვატური რეაგირება, ეპიდაფეთქებათა მართვა, ადამიანთა და ცხოველთა საერთო საშიში ინფექციური დაავადებების ინსტერსექტორული მართვა. ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილობის და საზოგადოებაში ინფექციების გავრცელების შემცირება, დაავადების ადრეული იდენტიფიცირება. ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სტატისტიკური მუშაობის უზრუნველყოფა, მიღებული მონაცემების რეგისტრაცია-ანალიზი, სახელმწიფო სამედიცინო ჯანდაცვითი პროგრამების ეპიდზედამხედველობის უზრუნველყოფა, მათ შორის ლოჯისტიკა. ტუბერკულოზის სავარაუდო, საეჭვო შესაძლო შემთხვევათა ეპიდზედამხედველობა კონტაქტების იდენტიფიცირება, დიაგნოსტიკის ხელშეწყობა, საგანმანათლებლო მუშაობა ტუბერკულოზის შესახებ. შემთხვევათა შესახებ ინფორმაციის შეტანა ინფექციურ დაავადებათა მონაცემთა ერთიან ელექტრონულ სისტემაში. რომელსაც ახორციელებს **ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.**

**სოციალური დაცვა - პროგრამის დასაფინანსებლად 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3 680.9** ათასი ლარი; პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროგრამა მოიცავს ასევე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ქვეპროგრამას, რომლის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახის გაძლიერება, მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეპროგრამა ხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

● **მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება (1 125.0** ათასი ლარი);

● **უფასო სასადილოს დაფინანსება (460.1** ათასი ლარი);

● **ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები (3.6** ათასი ლარი);

● **მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება (3.5** ათასი ლარი);

● **ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება** (**220.0** ათასი ლარი);

● **სტიქის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა (50.0** ათსი ლარი);

● **ლვაწლმოსილი ადამიანების დახმარება (3,6** ათასი ლარი);

● **18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახებისა დახმარება (328.8** ათასი ლარი);

● **მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა (300.0** ათასი ლარი);

● **სოციალური დახმარებები (800.4** ათასი ლარი);

● **ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა (250.0** ათასი ლარი);

● **ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა (136.6** ათასი ლარი).

**მმართველობა - 7 258.4 ათასი ლარი, მათ შორის:**

● **საკრებულოს დაფინანსება - (1 440.0** ათასი ლარი);

● **მუნიციპალიტეტის მერია - (4 585.7** ათასი ლარი);

● **სარეზერვო ფონდი (680.0** ათასი ლარი);

● **სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები** (**15.0** ათასი ლარი);

● **შესყიდვებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი (15.0** ათასი ლარი).

● **სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება** (67.0 **ათასი ლარი), მათ შორის ძირი** (55.6 **ლარი) და პროცენტი - (11.4 ლარი);**

● **სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტო (500.0** ათასი ლარი).

### წარმატებული სტუდენტი

# როცა შრომა დაფასებულია



**მარიამ გიორგობიანი ჩვენი გაზეთის მკითხველებს ჯერ კიდევ მაშინ გავაცანით, როდესაც 2023 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბარებდა და მაშინ ის გამოცდების ირგვლივ საკუთარი შთაბეჭდილებებისა და მომავალი პროფესიის შესახებ საუბრობდა. თუმცა, მარიამი დღეს უკვე „ალტე უნივერსიტეტის" სამედიცინო ფაკულტეტის პირველი კურსის წარჩინებული სტუდენტია. ცოტა ხნის წინ კი ორი უნივერსიტეტისა და სახელმწიფო გრანტის მფლობელი გახდა. მისთვის 2023 წელი ნამდვილად ფეხბედნიერი იყო. მარიამს რთული გრაფიკის მიუხედავად სოციალური ქსელის მეშვეობით დავუკავშირდით და საკმაოდ აქტიური სტუდენტური ცხოვრების ირგვლივ, საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ:**

⬢ **მარიამ, რამდენად მნიშვნელოვანი და ამავდროულად საპასუხისმგებლო იყო 2023 წელი შენთვის?**

- 2023 წელი დარწმუნებული ვარ, ჩემთვის და არამარტო ჩემთვის, ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი წელი იყო, რადგან სწორედ 2023 წლიდან მოყოლებული დავიწყე საკმაოდ პატარა, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა საკუთარი მომავლის შესაქმნელად. ახალი გარემო ხშირად დამაბნეველია, ამასთან ყოველ დღეს თან ახლავს აკადემიური სტრესი, მაგრამ საკუთარი მიზნის მისაღწევად ცდა ნამდვილად ღირს. 2023 წელი ურთულესი წელი იყო, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ვიტყოდი - სასიამოვნოც კი, რადგან მნიშვნელოვნად მიმაახლოვა საკუთარ ოცნებებთან.

⬢ **როდესაც გაიგე, რომ ორი 100%-იანი გრანტის მფლობელი გახდი, რამდენად ემოციური იყო შენთვის?**

- რამდენიმე სტუდენტი დაგვიბარეს დეკანატში, არც ერთ არ გვქონია წარმოდგენა, ჩვენი უეცარი ვიზიტი რას ემსახურებოდა და საკმაოდ შეშინებულები შევედით კაბინეტში, მაგრამ სტიპენდიის შესახებ განცხადებამ იმხელა დადებითი მუხტი გამოიწვია, რომ მოტივაცია გამიასმაგდა და სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ შრომა ნამდვილად ფასდება. რაც შეეხება მეორე სტიპენდიას, ესეც არანაკლებ მოულოდნელი იყო. ამ ყველაფერმა დიდ სიხარულთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც დამაკისრა. კონკურენცია ყველგანაა და მათ შორის სტუდენტებშიც. რა თქმა უნდა, ყველა შრომობს საკუთარი მომავლისთვის და ახლა ორი სტიპენდიით კიდევ უფრო მეტად ფხიზლად მმართებს ყოფნა.

⬢ **რას მოელი ახალი 2024 წლიდან და რას ეტყოდი იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ცოტა არ იყოს სკეპტიკურად არიან განწყობილი გამოცდების მიმართ და მხოლოდ გამართლებას მიაწერენ ხოლმე გარკვეული სახის წარმატებას?**

- 2024 წლისგან ველოდები კიდევ უფრო მეტ სასიხარულო ამბებს და წარმატებას. მჯერა, მცდელობას შედეგი აუცილებლად მოჰყვება. იმ აბიტურიენტებს კი რომლებიც 2024 წელს სტუდენტობისთვის ემზადებიან, აუცილებლად ვუსურვებ საკუთარი თავის რწმენას, რადგან ეს ერთადერთია რაც ყველანაირ სტრესზე უფრო მაღლა დგას. რაც შეეხება გამართლებას, ვფიქრობ, ეს უფრო ბედმინდობილი ხალხის ოცნებაა, ყოველთვის ნამდვილად არავის უმართლებს და შემთხვევითობის პრინციპზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებულები, გამართლების მოლოდინში ყოფნას კი ყოველთვის სჯობს მეტი შრომის ჩადება საკუთარ საქმეში, რადგან შრომა ყოველთვის შედეგიანია და დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაუფასდება ყველას. ეროვნული გამოცდების ტესტები მინიმალური ცვლილებებით ყოველთვის კონკრეტულ ჩარჩოში დგას და ამიტომაც, ყველაფერს უბრალოდ თემების დამუშავება სჯობს.

**მინდა, ყველას მოგილოცოთ ახალი 2024 წელი, წარმატების მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანისათვის.**

**ესაუბრა ნატო მელიქიძე**

# პატარა მაყურებლებმა მხიარული სპექტაკლები იხილეს




**2 იანვრიდან** 8 იანვრის ჩათვლით საოცრად მხიარული დღეები მოუწყო პატარა მაყურებელს ბორჯომის სახელმწიფო თოჯინებისა და ბორჯომის კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო თეატრმა.

თოჯინების თეატრში ნაჩვენები გახლდათ სპექტაკლი სახელწოდებით „მოგვთა საჩუქარი", რომელიც ო ჰენრის ნაწარმოების მიხედვით რეჟისორმა ლუკა ინწკირველმა დადგა. მხატვარი გახლდათ ანი ყუფუნია. პატარა მაყურებელმა საოცრად ლამაზი და რაც მთავარია, სიკეთით აღსავსე ზღაპარი იხილა. სპექტაკლით რეჟისორმა პატარა მაყურებლებსა და მათ მშობლებს კიდევ ერთხელ შეგვახსენა, მოგვთა მიერ დამკვიდრებული ტრადიციის შესახებ, როდესაც მათ ახლადდაბადებულ მაცხოვარს საჩუქრები მიართვეს და სწორედ იქიდან მოყოლებული დაედო დასაბამი შობის დღეებში საჩუქრების ჩუქების ტრადიციას. წარმოდგენილი ზღაპრით რეჟისორმა დაგვანახა, რომ ამ სამყაროში სიყვარულზე და ურთიერთპატივისცემაზე მნიშვნელოვანი არაფერია.



პატარა მაყურებელს „სამი გოჭი" წარმოუდგინა ბორჯომის სახალხო თეატრმა. სამ ცელქ გოჭთან და მსუნაგ, ბოროტ მგელთან ერთად სცენაზე მაყურებელმა კეთილი ჩიტუნაც იხილა. ჩიტუნას როლის შემსრულებელი პატარა მსახიობი ლილუ გოგოლაძე გახლდათ. მსახიობების გამოსვლას პატარა მაყურებელი ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდა. როგორც ყველა ზღაპარში, „სამი გოჭის" ამბავშიც ბოლოს სიკეთემ და მეგობრობამ გაიმარჯვა.

**მოამზადა ნატო მელიქიძე**

### ვისოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

# კურორტ ბორჯომის ფუძემდებელი



**2023 წლის** ნოემბრის ბოლოს, ბორჯომში სტუმრად იმყოფებოდა ჩეხეთის რესპუბლიკის დელეგაცია, საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩის, ბატონ **პეტრ კუბერნატის** ხელმძღვანელობით. ჩეხი სტუმრების ბორჯომში მობრძანება შემთხვევით არ მომხდარა, მათი მიზანი გახლდათ, პატივი მიეგოთ საქართველოში და კერძოდ, ბორჯომში მოღვაწე ჩეხი ექიმის და საზოგადო მოღვაწის **იან (ივანე) პრიბილისათვის,** რომელსაც უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში კურორტოლოგიის დარგის დამკვიდრება-განვითარების საქმეში.

იან პრიბილი იყო ის მეცნიერი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ბორჯომის, ციხისჯვრის, ურაველის აბასთუმნის მინერალური წყლების, ახტალის ტალახის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა და მეფის რუსეთის ხელისუფლებას - კონკრეტულად, კავკასიის მეფისნაცვლებს შესთავაზა მინერალური წყლების საბადოების კეთილმოწყობის და საკურორტო ადგილების მშენებლობების დაწყების რეკომენდაცია.

ამ დიდებული პიროვნების ბიოგრაფიის შესწავლისათვის ბორჯომში კარგად ცნობილ, შესანიშნავ პიროვნებასთან, ჩვენს უფროს მეგობართან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან და ბორჯომის ისტორიის მკვლევართან, ბატონ მიხეილ თვაურთან ერთად ბევრი ვიმუშავეთ XIX საუკუნის ბორჯომის ისტორიული დოკუმენტების მოკვლევისათვის, მათ შორის იან პრიბილის საქართველოში მოღვაწეობის თემებზე.

ახლა, როცა იან (ივანე) პრიბილის ღვაწლი ღირსეულად დაფასდა და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ბორჯომის მინწყლების პარკში დაიდგა ლამაზი მემორიალი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მეტი ვიცოდეთ ამ შესანიშნავი მეცნიერების შესახებ.

კურორტ ბორჯომის ისტორიაში მითითებულია, რომ მინწყალი „მეორედ" აღმოაჩინეს 1816 წელს დისლოცირებულმა გორში ხერსონის ცხენოსანთა პოლკის ჯარისკაცებმა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ცნობილია ის დაძაბული მდგომარეობა, რომელიც XVIII-XIX საუკუნეებში არსებობდა რუსეთსა და თურქეთს შორის, რაც ხშირად სამხარი მოქმედებების მიზეზი იყო. რუსების რამდენიმე ცდა ახალციხის საფაშოს დასაპყრობად მარცხით დამთავრდა.

ახალციხეზე გალაშქრება 1810 წლის 16 ნოემბერს განახორციელა ამიერკავკასიის მთავარმართებელმა, გენერალმა ა. ტორმასოვმა. მდინარე მტკვრის ხეობის გავლით მან მოახდინა ახალციხის ათდღიანი ბლოკადა. რუსეთის ჯარს შეუერთდა ქართული ლაშქარი გენერალ-მაიორ თამაზ ორბელიანის მეთაურობით, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ კონსტანტინე ბაგრატიონისა და ვახტანგ ორბელიანის მილიციის დანაყოფები.

ამ პერიოდში ახალციხეში მძვინვარებდა შავი ჭირის ეპიდემია, რომელიც დაადგინა, პოლკის მთავარმა ექიმმა ივანე პრიბილმა. შავი ჭირის ინფექციით დაიღუპა ქართულ ლაშქარში 6 და რუსეთის ჯარის 5 ჯარისკაცი. აღნიშნულის გამო გენერალმა ა. ტორმასოვმა 26 ნოემბერს ახალციხეს მოხსნა ალყა და ჯარის ნაწილები უკან დააბრუნა, რომლებიც დაბრუნდნენ გაუკაცრიელებული მტკვრის ხეობით. 1810 წლის 4 დეკემბერს გენერალ ა. ტორმასოვის ჯარის ნაწილები დაბანაკდნენ პეტრეს ციხის მიდამოებში. რამდენიმე დღის შემდეგ ჯარის ნაწილებმა გადმოდაინაცვლა მდინარე ბორჯომულას მარჯვენა მხარეს, ყოფილ სანატორიუმ „ფირუზას" ტერიტორიაზე, სადაც მათ დაჰყვეს ორიოდე დღე. სწორედ აქ მოხდა გენერალ-მაიორ თამაზ ორბელიანის მეომრებისა და გენერალ ა. ტორმასოვის ჯარისკაცების გაცნობა ბუნების უცნაურ მოვლენასთან - მინერალური წყლის დროგამოშვებით პულსირებულ ამოფრქვევებთან. პოლკის მთავარმა ექიმმა ივანე პრიბილმა, რომელსაც შესწავლილი ჰქონდა კურორტოლოგია პრაღის უნივერსიტეტში და კარგად იცნობდა კურორტ კარლსბადის გეიზერების მოქმედებას, ორგანოლეპტიკური თვისებების შესწავლით (წყლის ტემპერატურა, სუნი, გემო, გამჭვირვალობა, ფრაქციები, ნალექების არსებობა) დადებითი შეფასება მისცა აღმოჩენილ მინერალური წყლის საბადოს.

**დოსიე:** ივანე პრიბილი დაიბადა 1781 წელს ბოჰემიაში (ჩეხოსლოვაკია) და იზრდებოდა ქ. პრაღაში. დაამთავრა პრაღის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და სპეციალიზაცია გაიარა ქალაქ ვენაში. იმხანად რუსეთის არმიის ჯარის ნაწილები სამედიცინო კადრების დიდ ნაკლოვანებას განიცდიდნენ. რუსეთის კონსულმა შესთავაზა ი. პრიბილს სამხედრო რუსეთის ნაწილებში სამსახური, რასაც დათანხმდა. იგი მივლინებულ იქნა სანკტ-პეტერბურგის მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში, სადაც მან ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები და დაინიშნა სარატოვი პოლკის მთავარ ექიმად. 1799 წელს აღნიშნული პოლკი ჩამოვიდა ქ. თბილისში.

ი. პრიბილი დაქორწინდა ექიმის ქალიშვილზე, ეკატერინე ყოროღლანაშვილზე და დაეუფლა ქართულ ენას. აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში. 1822 წელს დაინიშნა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარ ექიმად, რომელსაც 27 წელს ხელმძღვანელობდა. მან შეადგინა ნავთლუღში არსებული სამხედრო ჰოსპიტლის მშენებლობის პროექტი, რომელიც დაუმტკიცა კავკასიის მთავარმართებელმა გენერალმა პ. ერმილოვმა. იმავე დროს ერთდროულად ხელმძღვანელობდა ჰოსპიტალს, საკუთარ ორსართულიანი სახლის მშენებლობას და ითვლებოდა ქ. თბილისის №1 საავადმყოფოს მშენებლობის კონსულტანტად.

სამსახურებრივი მოვალეობის გადატვირთვის გამო მან ყურადღება ვერ დაუთმო 1810 წელს მტკვრის ხეობაში აღმოჩენილ მინერალური წყლის საბადოებს, რომლის ანალიზი მისი დავალებით 1836 წელს განახორციელა თბილისის ჰოსპიტლის პროვიზორმა ხ. ვილლემსმა.

პრიბილის უშუალო რეკომენდაციით, ამიერკავკასიის მთავარმართებელმა გენერალმა ე. გოლოვინმა თავისი ავადმყოფი ქალიშვილი, ეკატერინე 1841 წლის ზაფხულში ბორჯომში ჩამოიყვანა, სადაც იგი განიკურნა. სწორედ ამ ფაქტიდან იწყება ყურადღების მიქცევა ბორჯომის მინერალური წყლის საბადოებზე, **რომელსაც ბორჯომის მინერალური წყლების საბადოების დაფუძნების პერიოდი ეწოდება.**

1842 წელს ექიმებმა ს. ამიროვმა და ო. პოპოვმა თბილისის ჰოსპიტლის მთავარი ექიმის ი. პრიბილის ხელმოწერით გაუგზავნეს წერილი კავკასიის მთავარმართებელს ე. გოლოვინს, რომ ბორჯომის მინერალური წყლის საბადოებისათვის მიენიჭებათ კურორტის სახელი, რაც დადებითად გადაწყდა და დაიწყო ბორჯომის განაშენიანება.



**ამრიგად, ბორჯომის კურორტად დაარსების ოფიციალური თარიღია 1842 წელი.**

ი. პრიბილის დიდი ღვაწლი მიუძღვის კავკასიაში შავი ჭირისა და ქოლერის ეპიდემიების ლიკვიდაციაში. 1851 წლიდან ი. პრიბილი ზაფხულობით თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის ავადმყოფებს, მკურნალ ექიმებთან ერთად აგზავნიდა ბორჯომში და შედეგებს საფუძვლიანად იხილავდა.

ი. პრიბილი კავკასიის სამედიცინო საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდა. გარდაცვალებამდე მისი აქტიური წევრი იყო, რომელმაც ხელი შეუწყო სამეცნიერო პრაქტიკულ საქმიანობას და მოსახლეობაში სანიტარული ჰიგიენის პრინციპების განხორციელებას.

იან (ივანე) პრიბილის პორტრეტის დახასიათებისათვის საკმარისია ორი მაგალითის გახსენება. თავისი ქორწინების დღეს შეიტყო რა აზერბაიჯანის ერთ-ერთ რაიონში შავი ჭირის ინფექციის შესახებ, მან მიატოვა ქორწილი და გაემგზავრა ეპიდემიის ჩასაქრობად.

მეორე მაგალითი: ტუბერკულოზით მძიმედ დაავადებულმა დედამ, იან პრიბილთან კონსულტაციის შემდეგ შეფუთული ახალშობილი მას კარზე დაუტოვა, რომელიც მან იშვილა და თავის 5 შვილთან ერთად გაზარდა და განათლებაც მიაღებინა.

ი. პრიბილი იყო დიდი კლინიცისტი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ბორჯომის, როგორც კურორტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი დიდი თაყვანისმცემელი, საქართველოს კურორტოლოგიის მეცნიერების დიდი მედროშე, გრიბოედოვის მკურნალი ექიმი, დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება 1847 წელს თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში მოიწვია რუსეთის გამოჩენილი ქირურგი პიროგოვი, რომელმაც 15 რთული ოპერაცია გააკეთა, თანაც პირველად ეთერის ნარკოზით.

დაუვიწყარია ი. პრიბილის ღვაწლი საქართველოს მედიცინის წინსვლისა და განვითარების საქმეში, რასაც მან თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია და სიცოცხლეშივე უკვდავი ძეგლი დაიდგა.

შესანიშნავი და პრაქტიკოსი ექიმის, ბატონ იან (ივანე) პრიბილის ხსოვნის უკვდავსაყოფად მიძღვნილ ღონისძიებაში დიდი მუშაობა გასწია ჩეხეთ-საქართველოს სათვისტომოს თავმჯდომარეემ, არქიტექტორმა ბატონმა **თამაზ გერსამიამ,** რომელმაც ბორჯომში პრიბილის შთამომავლებიც კი ჩამოიყვანა.

მემორიალის გახსნის წინ სიტყვებით გამოვიდნენ: ჩეხეთის ელჩი **პეტრაკ კუბერნატი,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** სათვისტომოს თავმჯდომარე **თამაზ გერსამია** და ბორჯომელი არქიტექტორი **მარიკა გელაშვილი,** მინერალური წყლის ექსპერტად აღიარებული იან პრიბილის მემორიალი პარკში ერთ-ერთ დიდ ქვაზე მიმაგრდა და ყვავილებით შეამკეს.

**მარიკა გელაშვილი,**
**ვალერიან ლომიძე.**

# ქრისტე იშვა!

პოეზიის კუთხე



შობის ღამეს სასწაული ხდებაო და
მე ამ ღამეს მოლოდინში გავატარებ,
სახლში გიწვევ,რომ გზა აღარ გაგიმრუდდეს,
ყველა სარკმელს,სანთლის შუქით გავანათებ!
კარებს გიღებ, მუხლს მოგიყრი ღვთისმშობელო,
მერე სიტყვებს გულში ლოცვად გავატარებ,
მომიტევე, ცოდვა თუ მაქვს უნებლიე,
რადგან გულით მხოლოდ სითბოს დავატარებ.
უფალს ველით, შენს სხეულში რომ ბინადრობს,
დედა ხარ და სანუგეშოდ ძეს მოველით,
სიყვარული ჩაუნერგე ხალხს გულებში,
რწმენად დაგვრჩი დედა იმედის მთოველი!
ქრისტე იშვა! ქრისტე იშვა! შობის ღამევ,
ცაზე ვარსკვლავს სიკაშკაშე დააყოლე,
ყველა ცუდი, სისხლი, ომი და ცრემლები
მოგვაშორე, ყველა ძველ წელს გააყოლე.
სანთლებს გინთებ, ყველა სარკმელს შუქით ვმოსავ,
ღვთისმშობელო, ძე გვაჩუქე, გელოდებით,
კაცის გული იმედით და რწმენით ავსე,
მადლობა რომ ყოველ წელს კვლავ მეორდები!!!
ქრისტე იშვა ჩვენს გულებში, ჩვენს სხეულში,
დედა ღვთისავ, კვლავ მშვიდობით გაგვახარე,
სიყვარულის მცნება ხალხმა არ დაკარგოს,
შენი ძალა, თავზე იმედად გვაფარე!!!
წრფელი გულით, უფლის დიდება რომ ითქვას,
დაე ყველას ოჯახებში ქ რ ი ს ტ ე ი შ ვ ა ს!!!

იზო სარქისიანი.

# შემთხვევა რესტორანში

**ნამდვილი ამბავი**

**ღამის 12 საათია,** ახალდაბის რესტორნის მებუფეტე, გაიოზ ოყროშიძემ და სრულიად ახალგაზრდა შეფმზარეულმა ჩიტო ლომიძემ თავიანთი საქმეები დაამთავრეს და რესტორნის დასაკეტად ემზადებოდნენ. მოულოდნელად რესტორნის კარები გაიღო და 10-12 მამაკაცი შემოვიდა და ცარიელი დარბაზის შორეულ მაგიდისაკენ გაემართნენ. სარფიანი კლიენტებით გახარებული მებუფეტე გაბადრული სახით მიეახლა მათ მაგიდას და - რას მიირთმევთ ბატონებოო? - რას გვაჭმევთ? კითხვაზე კითხვა დაუბრუნეს საქეიფოდ მოსულებმა. სამწვადე და წიწილები გაგვითავდა, - იცრუა გაიოზმა - სამაგიეროდ კარგი ჯიგარი გვაქვს, თუ ინებებთ, ახლავე მოგართმევთო. კარგიო, დაეთანხმნენ მოქეიფები და სასწრაფოდ ,,ზაკუსკეულისა" და ზომაზე მეტი სასმელის მოტანა უბრძანეს.

სამზარეულოში შესულმა გაიოზმა, ჩიტოს უთხრა, რომ მაცივრიდან გამოელო წინა კვირაში შემოტანილი გულ-ღვიძლი და მათთვის მოემზადებია.

ჩიტომ იუარა, - გაიოზ ბიძია, სუნი უდის, აყროლებული და გადასაყრელია, ეგენი არ გვაპატიებენ და დიდ შარს გადავეყრებითო... გააკეთე, რასაც გეუბნები, ,,ატვეჩაი" მე ვარო და გაიოზმა სამზარეულო დატოვა. ჩიტომ ყველა ღონე იხმარა, ძმარში, სოდაგარეულ წყალში და რაში არ გარეცხა ხორცი, რათა არასასიამოვნო სუნი დაეკარგა. დაიწყო ხორცის დაჭრა და ჰოი, საოცრებავ, დანის მიკარებაზე ხორცი იშლებოდა... დიდი წვალებისა და ნერვიულობის შემდეგ, როგორც იქნა ხორცი შეიწვა, ჩიტომ მწვანილით და სხვადასხვა სანელებლებით შეალამაზა-შეაკოხტავა, გულის ფანცქალით მოქეიფეებს მაგიდაზე მიართვა და სწრაფად უკან დაბრუნდა. შეარჩია მოხერხებული ადგილი სათვალთვალოდ და შემდგომ მოვლენებს დაელოდა.

როგორ არ ცდილობდნენ სტუმრები ჩანგლით ხორცის გადაღებას, მაგრამ, ხორცი იშლებოდა და ჩანგალს არ ემორჩილებოდა.

- ,,ბუფეტჩიკ" - გაისმა რამდენიმე გამყინავი ხმა.

- ახლავე ბატონო! შეეხმაურა გაიოზი სტუმრებს. დაგვიძახე მზარეულს და შენც აქ მოდიო. გაიოზი და ჩიტო წელმოწყვეტით მაგიდასთან მივიდნენ. მოქეიფეებმა მათ ღვინით სავსე ჭიქები შეაგებეს და დაგვლოცეთო, უთხრეს. იმედმოცემული მასპინძლები ენად გაიკრიფნენ, რა სიტყვებით არ შეამკეს სტუმრები და ჭიქები გამოცალეს. ახლა ეს ჯიგარი დააყოლეთო და ხორცით სავსე ტაფა ცხვირწინ მიუცურეს. ჩვენ იქ დავაყოლებთო და ცერით უკან სამზარეულოსკენ ანიშნეს ხმა შეცვლილებმა...

- თქვენი დედა, თქვენი ოჯახი... და ყველაფრის რის შეგინებაც შეიძლებოდა, თუ გაგონილა, გადმოაფრქვიეს თავზე, თანაც საცემრად იწევდნენ. ბოლოს ერთმა, თანამეინახეები როცა ყველა დაამშვიდა, მასპინძლებს უთხრა: - ეს ,,პოვარი" ბავშვია, ამის გალახვას არ ვიკადრებთ, შენ კი ,,ფრონტავიკი" და ხანდაზმული ხარ და ამიტომ გაპატიებთო, ახლა გაიქეცით კუხნაში და რაც კარგი გაქვთ, ის მოგვიტანეთო...

გახარებულებმა სასწრაფოდ გამოიღეს მაცივრიდან იმ დილით მოტანილი სუკები და... გაბადრულმა ჩიტომ რამდენიმე წუთში მიართვა ცვრიანი მწვადები. დაგვილიეთ ეს ჭიქაო და ხელის კვრით მაგიდაზე გასრიელებული ჭიქა ჩიტოს წინ დაბარებულივით გაჩერდა... ახლა დააყოლე მწვადიო... და გაწვდილ ხელზე ჩიტომ ერთ-ერთის ხელის დარტყმა იგრძნო.

წადი ბიძიკო, შენ იქ კუხნაში დააყოლეო, უთხრეს სიცილით და ნიშნის მოგებით.

ალგი ლომიძე.

# მადლობა გაწეული დახმარებისათვის

**გასული** 2023 წელი ჩემთვის მძიმე წელიწალად შეიძლება ჩავთვალო, რადგან ექვსჯერ მომიწია ,,ჯეოჰოსპიტალსში" ყოფნამ, დღეს რომ ცოცხალი ვარ და 2024 წელს შევხვდი ,,ჯეოჰოსპიტალსის" ექიმების და მედპერსონალის დამსახურებაა.

დეკემბერში სასწრაფო მანქანის დახმარებით საავადმყოფოში შემიყვანეს გონებადაბინდული, მოძრაობა შეზღუდული, მეტყველება გაძნელებული. ექიმების **ნუნუ თოდრიას, ნინო ჭილაძის** და მათი გუნდის დახმარებით დამიბრუნდა ცნობიერება, აღმიდგა მოძრაობა. მათი თქმით, გამიკეთდა თრომბოლიზისი, რის შედეგადაც გადამარჩინეს ინსულტს და ინვალიდად ყოფნას.

**მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ამ ხელმადლიან ადამიანებს, ვინც სიცოცხლე შემინარჩუნა. მრავალ ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ მათ ოჯახებს, იხარონ და იდღეგრძელონ.**

**ნათელა ჩადუნელი,**
**ახალდაბელი პენსიონერი.**

**წმინდა ნინოს ქ. №9 ბინის მცხოვრები მეზობლები სამძიმარს უცხადებენ მანანა ხუროძეს ძმის და ზურაბ გელაშვილს ცოლისძმის**

**მალხაზ ხუროძის**

**გარდაცვალებას გამო.**

**ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის მრავალრიცხოვანი მრევლი თანაუგრძნობს უცხადებს მამა გერასიმეს ბებიის**

**ნათელა ტაბატაძის**

**გარდაცვალებას გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს..**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის N№24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი. რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქუჩა. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ.თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57
ე-მაილ: ბორჯომი"ინბოხ.რუ რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

## 2023 წლის სასპორტო სკოლის საუკეთესო მოსწავლე-სპორტსმენები

**ნიკოლოზი გელაშვილი** - მძლეოსნობა;
**ანდრია მაისურაძე** - მძლეოსნობა;
**ბექა ჭკუასელიძე** - ბ/რ ჭიდაობა;
**ირაკლი სამსონაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა;
**ანასტასია შაყულაშვილი** - ძიუდო;
**გიორგი შაყულაშვილი** - ძიუდო;
**ელენე არუთინიანი** - ძიუდო;
**ნუგზარი დავიდიანი** - ძიუდო;
**დავითი მელიქიძე** - მკლავჭიდი;
**გიგა აიწურაძე** - მკლავჭიდი;
**ლუკა კურტანიძე** - მკლავჭიდი;
**ნელი უსტიმენკო** - მკლავჭიდი;
**უჩა გოგალაძე** - კრივი;
**ბესიკი შარვაძე** - კრივი;
**დავით ნერსესოვი** - კარატე;
**გია ხოჭოლავა** - კარატე;
**ალექსანდრე დვალიშვილი** - კარატე;
**თეა რუსიტაშვილი** - ჭადრაკი;
**გიორგი მესხი** - ჭადრაკი;
**გიორგი დიაკონოვი** - ტრამპლინიდან ხტომა;
**ესმა ალიევა** - ტრამპლინიდან ხტომა;
**ოთარი ხვედელიძე** - სამთო-სათხილამურო;
**ირაკლი აბესაძე** - სამთო-სათხილამურო;
**ნინო გევორქოვი** - სამთო-სათხილამურო;
**ანასტასია ვიბლიანი** - სამთო-სათხილამურო;

### 2023 წლის სასკოლო ოლიმპიადის საჯარო სკოლის გუნდები, რომლებიც 2024 წლის მარტიდან ჩაებმებიან რეგიონალურ ასპარეზობებში:

№6 სკოლა - მინი ფეხბურთი (ვაჟები);
№3 სკოლა - ფრენბურთი (გოგონები, ვაჟები);
№1 სკოლა - კალათბურთი (გოგონები);
№3 სკოლა - კალათბურთი (ვაჟები);
№6 სკოლა - გეზრბენი (ვაჟები);
№1 სკოლა - გეზრბენი (გოგონები);
ბაკურიანის სკოლა - მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები).

# სპორტსმენის დილა

**ბექა ჭკუასელიძემ** ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობა პირველად 8 წლის ასაკში გადაწყვიტა. 2016 წელს კი პირველი გამარჯვება მოიპოვა. გულშემატკივრებსა და ოჯახის წევრებთან ერთად დიდი სიხარულითა და ემოციებით აღნიშნა ღირსეული გამარჯვება.



- პირველ გამარჯვება დაუვიწყარი იყო. მიხაროდა, რომ მრავალრიცხოვან მონაწილეთა შორის პირველი ადგილი მოვიპოვე.

ბექა ინტენსიურად ვარჯიშობდა ყოველ დღე. ამბობს, რომ მისთვის ჭიდაობა ყველაზე წარმატებულია. განსაკუთრებით მოსწონს გლადიატორების ჭიდაობა. მისი უმცროსი ძმა ნიკოლოზიც აქტიურად ვარჯიშობს და სპორტულ ცხოვრებას მისდევს.

თვლის, რომ წარმატებას რომ მიაღწიო გჭირდება მონდომება და მიზანიდასახულობა, დამარცხებისას გული არ უნდა გაიტეხო, არ უნდა დანებდე ბოლომდე უნდა იბრძოლო გამარჯვებისთვის.

სპორტსმენის დილა 7 საათზე 2 კმ. მანძილზე სირბილით იწყება. ძილის ხანგრძლივობა კი 9 საათს ითვლის.

რესპონდენტისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესი ნიშნავს სიგარეტსა და ალკოჰოლზე უარის თქმას, მუდმივ ვარჯიშსა და ფორმაში ყოფნას.

სახელოვანი სპორტსმენების გამარჯვებებზე წიგნებისა და ჟურნალების კითხვა მისთვის განტვირთვის ერთ-ერთი საშუალებაა.

მისი გზავნილი თანატოლებისადმი ასეთია:

- ჩემს თანატოლებს ვეტყოდი, რომ სპორტული ცხოვრებით ცხოვრება ძალიან მაგარია. ვისურვებდი, გამოსცადონ როგორი გრძნობაა კვარცხლბეკზე დგომა.

მწვრთნელები ნოდარი გეგეშიძე და გოგა რაზმაძე, ის ადამიანები არიან, რომლებიც ბექას წარმატების მიღწევაში დიდ როლს ასრულებენ. მათი რჩევები ყოველთვის გამარჯვებისკენ გადადგმული ნაბიჯებია.

2023 წელს ნიკოლოზ ხვედელიძისა და ვასილ ჩოჩიშვილის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში I ადგილი დაიკავა, წინა 2022 წელს კი საქართველოს ჩემპიონატზე III - ადგილი დაისაკუთრა. ამავე წელს მონაწილეობდა თემურ აფხაზავას სახელობის ტურნირზე, სადაც კვლავ მესამე ადგილი მოიპოვა..

ბექა ჭკუასელიძე 16 წლისაა, იგი ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეა.

ვუსურვებთ, წარმატებულ და მიზანდასახულ მომავალს, რათა ასახელოს ჩვენი ქალაქი და საქართველო.

იზა იანვარაშვილი

# დათო, გიორგი. ლამარა გელაშვილების მონატრება



ჩემო საყვარელო შვილებო, დავით და გიორგი, 9 იანვარს თქვენი დაბადების დღეა. თქვენმა მშობელმა დედამ ვეღარ გაუძლო იმ დიდ ტკივილს, რასაც თქვენი დაკარგვით განიცდიდა. ახლა ისიც თქვენთან ერთად განისვენებს სასუფეველში, ალბათ, თბილადაც ჩაგიკრათ გულში. მე კი თქვენს მამას მხოლოდ მწუხარება და მოგონებები დამრჩა. ველარ უძლებ ამდენ ტკივილს. ნუგეშის სიტყვაც არ მოქმედებს, ან კი რა მაქვს სანუგეშო, მხოლოდ იმით ვინუგეშებ თავს, და უფალს შევთხოვ მეც თქვენთან ერთად მამყოფოს. უზომოდ მენატრებით. ნათქვამია, ადამიანი ქვაზე მაგარიაო, მაგრამ ამას სიმაგრეს ვერ დავარქმევდი. მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, თქვენს სახელზე დავანთო სანთლები და უფალს შევავედრო თქვენი წმინდა სულები. უფალს ებარებოდეთ ჩემო ცოლ-შვილო.

ტანჯული მამა მერაბ გელაშვილი (ტიტიკოვიჩი).

# გრიგოლ (გრიშა) ტალახაძის მოსაგონარი



მეშვიდე წელია, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლე, ჩვენო გრიშა და უშენოდ ვხვდებით ახალ წელს და 13 იანვარს - შენი დაბადების დღეს. გიყვარდა ეს დღეები და სიხარულით აღნიშნავდი ნათესავებთან და ახლობლებთან ერთად.

გრიშა, თავს დამნაშავედ ვთვლით, სად დავუშვით შეცდომა, რა ვერ გავაკეთეთ, რა გამოგვეპარა, რომ შენი სიცოცხლე გადაგვერჩინა, არადა, უზომოდ გიყვარდა სიცოცხლე, ადამიანები, შენი ქვეყანა და განსაკუთრებით ბორჯომი. გახარებდა ყველაფერი ახალი და მიუხედავად იმისა, რომ სიარული გიჭირდა, ქალაქში თუ რამე ახალი გაკეთდებოდა, არ შეგეძლო, რომ არ გენახა. შენ შემდეგ ქალაქში ბევრი სიახლეა, რომ მოსწრებოდი, შენ სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა, მაგრამ რა ვქნათ, უფლის ნებაც ეს ყოფილა.

გრიშა, შენ ბედნიერი კაცია ხარ, კარგი შვილები დატოვე, ორი ვაჟკაცი, ცხოვრებაც კარგად აიწყეს. ისიც დიდი ბედნიერებაა, რომ შენ ტრადიციებს აგრძელებენ, მამას ასე უყვარდაო და შვილებს უყვებიან შენი ცხოვრების განვლილ ამბებს, შენ საყვარელ ბერისაყდრებსაც არ ივიწყებენ, იქაც შენი სიყვარულის გამო დადიან და ახარებთ ტაძრის და გზის განახლება.

წელს, შენ შემდეგ, პირველად აჩიკომ და მისმა შვილებმა შენი შენახული ნაძვის ხე მორთეს და შენზე ტბილ მოგონებებს საზღვარი არ ქონდა.

სანამ შენი ოჯახი არსებობს, შენ სახელს დავიწყება არ უწერია, ძალიან გვაკლიხარ, გვიყვარხარ და გვენატრები.

13 იანვარს 84 წლის გახდებოდი, როგორც წინა ექვსი წელი, ისე წელსაც მოგილოცავთ მაგქვეყნიურში დაბადების დღეს. განისვენე მშვიდად.

მეუღლე ჟულიეტა, შვილები: მიხეილი, არჩილი.